



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

# უსაფრთხოების მიმოხილვა

თორნიკე თურმანიძე

ირანის მიერ რუსეთისთვის გაწეული სამხედრო დახმარება: მიზნები და შედეგები

2022

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება დაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან ექვსი თვის შემდეგ, როდესაც რუსეთის არმია, დასახული სამხედრო ამოცანების შეუსრულებლობასთან ერთად, შეიარაღების გარკვეული სახეობების მარაგის ამოწურვის პრობლემის წინაშე დადგა, ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ მას დახმარების ხელი გაუწოდა და რამდენიმე ასეული უპილოტო საფრენი აპარატი, მათ შორის ე.წ. „კამიკადე“ საბრძოლო დრონები მიჰყიდა, რითაც, ფაქტობრივად, ამ ომში რუსეთის მხარე დაიკავა და კიდევ ერთხელ ღიად დაუპირისპირდა დასავლეთს. აღსანიშნავია, რომ თუ ირანი აქამდე ძირითადად მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის მასშტაბით ერეოდა სხვა სახელმწიფოთა შორის ან მათ ტერიტორიაზე მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტებში, რუსეთისთვის სამხედრო დახმარების გაწევით ის უკვე ამ რეგიონის ფარგლებს გასცდა და ევროპაში გაჩაღებული ომის ბედის გადაწყვეტა მოიწადინა.

რა საგარეო-პოლიტიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ თუ სხვა სახის მიზნებს ისახავს ირანი უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიის მხარდაჭერით? და რა შედეგები მოჰყვა ან ახლო მომავალში შეიძლება მოჰყვეს მისთვის ამ ნაბიჯს? წინამდებარე სტატიაში სწორედ ამ კითხვებზე პასუხების გაცემას შევეცდებით, თუმცა მანამდე საჭიროა მოკლედ აღვწეროთ, თუ რაში გამოიხატება ირანის სამხედრო დახმარება რუსეთის მიმართ.

### *ირანის მიერ რუსეთისთვის შეიარაღების მიწოდება*

ირანის მიერ რუსეთისთვის გადაცემული შეიარაღების ზუსტი რაოდენობა საჯაროდ ცნობილი არ არის. თუმცა, ცალკეულ ოფიციალურ პირთა განცხადებები და მასშედიაში გავრცელებული ინფორმაცია მიახლოებით სურათს გვიჩვენებს.

ჯერ კიდევ 2022 წლის ივლისში, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ირანში ოფიციალურ ვიზიტამდე ერთი კვირით ადრე, აშშ-მა განაცხადა, რომ ირანი რუსეთისთვის უპილოტო საფრენი აპარატების მიწოდებას გეგმავდა, რომლებსაც რუსეთი უკრაინაში საბრძოლო მიზნებისთვის გამოიყენებდა.<sup>1</sup> სავარაუდოა, რომ პუტინის მიერ თეირანში ირანის პრეზიდენტთან ებრაჰიმ რაისისთან და უზენაეს ლიდერთან აიათოლა ალი ხამენეისთან გამართულ შეხვედრებზე<sup>2</sup> განხილული ერთ-ერთი მთავარი საკითხი სწორედ ეს იყო.

<sup>1</sup> White House, Press Briefing by Press Secretary Karine Jean-Pierre and National Security Advisor Jake Sullivan, July 12, 2022, <https://www.whitehouse.gov/briefing-room/press-briefings/2022/07/12/press-briefing-by-press-secretary-karine-jean-pierre-and-national-security-advisor-jake-sullivan/>

<sup>2</sup> Nasser Karimi and Vladimir Isachenkov, "Putin, in Tehran, gets strong support from Iran over Ukraine," AP News, July 20, 2022, <https://apnews.com/article/russia-ukraine-putin-syria-iran-289c3422c8980e7650dbde2c326d248a>

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ „დიდი შვიდეულის“ ლიდერებს შეატყობინა, რომ რუსეთმა ირანს ჯამში 2400 საბრძოლო დრონი შეუკვეთა.<sup>3</sup> ბრიტანულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთმა ირანისგან უპილოტო საფრენი აპარატების პირველი პარტია 20 აგვისტოს 140 მილიონ ევროდ შეიძინა: კერძოდ, 100 „შაჰედ-136“ ტიპის „კამიკაძე“ საბრძოლო დრონი, 60 „შაჰედ-131“ ტიპის „კამიკაძე“ საბრძოლო დრონი და 6 „მოჰაჯერ-6“ სადაზვერვო-საბრძოლო დრონი, რომლებიც ირანიდან რუსეთში რუსული სატვირთო თვითმფრინავით გადაზიდეს. ამავდროულად, მოლაპარაკებები გაიმართა 200 მილიონი ევროს ღირებულების უპილოტო საფრენი აპარატების დამატებითი პარტიის შესყიდვაზეც.<sup>4</sup> 1 ნოემბერს კი ამერიკულ მედიაში სახელისუფლებო წყაროზე დაყრდნობით გაჩნდა ცნობა, რომ ირანი რუსეთისთვის ბალისტიკური რაკეტების მიწოდებასაც გეგმავდა.<sup>5</sup>

ირანისგან მიღებულ უპილოტო საფრენ აპარატებს რუსეთი უკრაინაში 2022 წლის სექტემბრიდან იყენებს<sup>6</sup> - ძირითადად ენერგეტიკული და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის გასანადგურებლად. ირანული კვალის დაფარვის მიზნით რუსეთი ცდილობს, ეს დრონები საკუთარი წარმოების პროდუქტად გაასაღოს, რისთვისაც მათ რუსულ წარწერებს უკეთებს (მაგალითად, „შაჰედ-131“-ის ნაცვლად „Герань-1“, ხოლო „შაჰედ-136“-ის ნაცვლად - „Герань-2“).<sup>7</sup> დასავლური სადაზვერვო უწყებების ინფორმაციით, ირანთან მიღწეული კიდევ ერთი შეთანხმებით, რუსეთი ამ უპილოტო საფრენი აპარატების თავის ტერიტორიაზე წარმოების დაწყებასაც აპირებს, რისთვისაც ირანისგან მათ ნახაზებსა და საკვანძო კომპონენტებს ყიდულობს.<sup>8</sup>

უკრაინის საჰაერო თავდაცვა ბრძოლის ველზე გაშვებული ირანული დრონების საშუალოდ ორ მესამედს ანადგურებს, მაგრამ მათი დაახლოებით ერთი მესამედი

---

<sup>3</sup> “Zelensky calls on G7 to provide air defense systems, as Russia ordered 2,400 ‘Shaheds’,” *Ukrinform*, October 11, 2022, <https://www.ukrinform.net/rubric-politics/3591162-zelensky-calls-on-g7-to-provide-air-defense-systems-as-russia-ordered-2400-shaheds.html>

<sup>4</sup> Deborah Haynes, “Russia flew €140m in cash and captured Western weapons to Iran in return for deadly drones, source claims,” *Sky News*, November 9, 2022, <https://news.sky.com/story/russia-gave-eur140m-and-captured-western-weapons-to-iran-in-return-for-deadly-drones-source-claims-12741742>

<sup>5</sup> Kylie Atwood, “Iran is preparing to send additional weapons including ballistic missiles to Russia to use in Ukraine, western officials say,” *CNN*, November 1, 2022, <https://edition.cnn.com/2022/11/01/politics/iran-missiles-russia/index.html>

<sup>6</sup> “Ukraine shoots down Iranian-made drone used by Russia - defence ministry,” *Reuters*, September 13, 2022, <https://www.reuters.com/world/europe/ukraine-shoots-down-iranian-made-drone-used-by-russia-defence-ministry-2022-09-13/>

<sup>7</sup> Francesco Salesio Schiavi, “Assessing Russian Use of Iranian Drones in Ukraine: Facts and Implications,” Italian Institute for International Political Studies, October 26, 2022, <https://www.ispionline.it/en/publicazione/assessing-russian-use-iranian-drones-ukraine-facts-and-implications-36520>

<sup>8</sup> Joby Warrick, Souad Mekhennet and Ellen Nakashima, “Iran will help Russia build drones for Ukraine war, Western officials say,” *Washington Post*, November 19, 2022, <https://www.washingtonpost.com/national-security/2022/11/19/russia-iran-drones-secret-deal/>

მიზანს აღწევს.<sup>9</sup> პრეზიდენტ ზელენსკის განცხადებით, ამ „ენერგეტიკული ტერორიზმის“ შედეგად რუსეთმა უკრაინის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის 40% სერიოზულად დააზიანა.<sup>10</sup> უკრაინის სამხედრო-საჰაერო ძალების მონაცემებით, სექტემბრიდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ ირანული „შაჰედ-136“ ტიპის 400 საბრძოლო დრონი გამოიყენა,<sup>11</sup> რაც იმაზე მიანიშნებს, რომ 20 აგვისტოს შემდეგ რუსეთმა ირანისგან დრონების კიდევ ერთი პარტია მიიღო.

შეიარაღების გადაცემის ფაქტის არაერთგზის უარყოფის მიუხედავად, 5 ნოემბერს ირანის ხელისუფლებამ საბოლოოდ აღიარა, რომ რუსეთს მცირე რაოდენობით საბრძოლო დრონები ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე მიაწოდა, თუმცა რუსეთისთვის ბალისტიკური რაკეტების გადაცემის გეგმის არსებობა უარყო.<sup>12</sup> ამის საპასუხოდ, აშშ-ის სპეციალურმა წარმომადგენელმა ირანის საკითხებში რობერტ მელიმ განაცხადა, რომ ირანმა რუსეთს საბრძოლო დრონების არათუ მცირე, არამედ საკმაოდ დიდი რაოდენობა მიაწოდა, თანაც არა ომის დაწყებამდე, არამედ მიმდინარე წლის ზაფხულში და სამხედრო სპეციალისტებიც კი გაგზავნა რუსეთის მიერ ოკუპირებულ უკრაინის ტერიტორიაზე, რათა ისინი რუსებს ამ საფრენი აპარატების მართვაში დახმარებოდნენ.<sup>13</sup> მანამდე ირანელი სამხედრო ინსტრუქტორების უკრაინაში, კერძოდ, ოკუპირებულ ყირიმში ამ მიზნით ყოფნის შესახებ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს პრესსპიკერმა ჯონ კირბიმაც ისაუბრა.<sup>14</sup> უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა ოლექსი დანილოვმა კი მოგვიანებით ირანელი სამხედრო ინსტრუქტორების დალუპვის შესახებ ცნობები დაადასტურა.<sup>15</sup>

9 ნოემბერს რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ნიკოლაი პატრუშევი თეირანში ჩავიდა, სადაც თავის კოლეგას, ირანის ეროვნული უსაფრთხოების უზენაესი საბჭოს მდივანს ალი შამხანის შეხვდა.<sup>16</sup> ვიზიტის სავარაუდო მიზანი უპილოტო საფრენი

---

<sup>9</sup> “One-third of Shaheds reach their targets, drone terror may last long,” *Ukrainska Pravda*, October 24, 2022, <https://www.pravda.com.ua/eng/news/2022/10/24/7373182/>

<sup>10</sup> President of Ukraine, “Volodymyr Zelenskyy met with the European Commissioner for Energy,” November 1, 2022, <https://www.president.gov.ua/en/news/volodimir-zelenskij-zustriv-sya-z-yevrokomisarom-z-pitan-ener-78841>

<sup>11</sup> “РФ применила против Украины более 400 иранских дронов,” *Gazeta.ua*, November 9, 2022, [https://gazeta.ua/ru/articles/np/\\_rf-primenila-protiv-ukrainy-bolee-400-iranskih-dronov/1119967](https://gazeta.ua/ru/articles/np/_rf-primenila-protiv-ukrainy-bolee-400-iranskih-dronov/1119967)

<sup>12</sup> Adam Pourahmadi and Sophie Tanno, “Iran acknowledges providing drones to Russia before Moscow’s invasion of Ukraine,” *CNN*, November 5, 2022, <https://www.cnn.com/2022/11/05/middleeast/iran-drones-russia-intl>

<sup>13</sup> Special Envoy for Iran Robert Malley (@USEnvoyIran), Twitter post, November 5, 2022, [https://twitter.com/USEnvoyIran/status/1588941673761214464?s=20&t=siJWts-yOa9aaTel0\\_PNcg](https://twitter.com/USEnvoyIran/status/1588941673761214464?s=20&t=siJWts-yOa9aaTel0_PNcg)

<sup>14</sup> White House, On-the-Record Press Gaggle by NSC Coordinator for Strategic Communications John Kirby, October 20, 2022, <https://www.whitehouse.gov/briefing-room/speeches-remarks/2022/10/20/on-the-record-press-gaggle-by-nsc-coordinator-for-strategic-communications-john-kirby/>

<sup>15</sup> Julian Borger, “Iranian advisers killed aiding Russians in Crimea, says Kyiv,” *Guardian*, November 24, 2022, <https://www.theguardian.com/world/2022/nov/24/iranian-military-advisers-killed-aiding-moscow-in-crimea-kyiv>

<sup>16</sup> “Secretary of Russia National Security Council arrives in Tehran,” *Islamic Republic News Agency*, November 9, 2022, <https://en.irna.ir/news/84936790/Secretary-of-Russia-National-Security-Council-arrives-in-Tehran>

აპარატების ახალი პარტიისა და ბალისტიკური რაკეტების პირველი პარტიის მიწოდების დაჩქარება იყო. რამდენად წარმატებული გამოდგა პატრუშევის ეს ვიზიტი, ჯერჯერობით უცნობია. ირანული ბალისტიკური რაკეტები უკრაინის ფრონტზე ჯერ არ გამოჩენილა, ხოლო დრონების გამოყენების შემთხვევებმა ნოემბრის მეორე ნახევრიდან იკლო. ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის 23 ნოემბრის ანგარიშის მიხედვით, რუსეთს ირანული დრონების არსებული მარაგი, დიდი ალბათობით, თითქმის ამოეწურა, რის გამოც მათი ახალი პარტიის შექმნას ცდილობს.<sup>17</sup>

აშკარაა, რომ ირანული საბრძოლო დრონების წყალობით, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა, ერთი მხრივ, დროებით გაააქტიურეს უკრაინაში წარმოებული სამხედრო კამპანია და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს უკრაინის კრიტიკულ ინფრასტრუქტურას, მეორე მხრივ, დაიწყეს რუსული წარმოების ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტების დაზოგვა, რომელთა მარაგიც საგრძნობლად შემცირებული აქვთ და, მესამე მხრივ, უკრაინის შეიარაღებულ ძალებს დასავლეთისგან მიღებული საჰაერო თავდაცვის საშუალებები დაახარჯვინეს. ამას გარდა, ეს ნაბიჯი ეკონომიკურადაც მომგებიანი იყო რუსეთისთვის, რადგან ირანული დრონების შექმნა სამამულო რაკეტების წარმოებაზე გაცილებით იაფი ჯდება (მაგალითად, „შაჰედ-136“ 20-30 ათასი დოლარი ღირს, ხოლო რუსული რაკეტების ფასი რამდენიმე მილიონი დოლარიდან იწყება და 13 მილიონ დოლარს აღწევს).<sup>18</sup> ამიტომაც რუსეთს ირანისგან მზა შეიარაღების ან მათი კომპონენტების შესყიდვის გაგრძელება ესაჭიროება. თუმცა, ნათელი არ არის, შეძლებს თუ არა ირანი რუსეთის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, განსაკუთრებით – მოკლე ვადაში. დროის ფაქტორს კი რუსეთისთვის ამ შემთხვევაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

### *ირანის მიერ რუსეთისთვის გაწეული სამხედრო დახმარების მიზნები*

უკრაინაში რუსეთის აგრესიისთვის სამხედრო მხარდაჭერის აღმოჩენით ირანი რამდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობს.

პირველი, ყველაზე გრძელვადიანი და გლობალური მასშტაბის მიზანი საერთაშორისო ასპარეზზე აშშ-ის დასუსტებაა, რომელსაც ირანი საკუთარ მტრად მიიჩნევს. ვინაიდან აშშ და მისი ევროპელი მოკავშირეები უკრაინას ეხმარებიან, ირანი რუსეთის მხარდაჭერით მათ წინააღმდეგ ილაშქრებს და „ამერიკული ჰეგემონიის“ დასასრულსა

<sup>17</sup> Ministry of Defence (@DefenceHQ), “Latest Defence Intelligence update on the situation in Ukraine – 23 November, 2022,” Twitter post, November 23, 2022, <https://twitter.com/DefenceHQ/status/1595308425906647040?s=20&t=o81rP9jvtCt9LO27mHzNqQ>

<sup>18</sup> Igor Kossov, “How Russia uses Iranian drones to try to overwhelm Ukraine’s air defense,” *Kyiv Independent*, October 24, 2022, <https://kyivindependent.com/national/russias-gambit-to-exhaust-ukraines-air-defense-with-iranian-kamikaze-drones>

და მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ჩამოყალიბებაში წვლილის შეტანას ცდილობს. ამასთანავე, ის აშშ-ისგან უკანასკნელ წლებში მიღებულ წყენებსაც პასუხობს, განსაკუთრებით, 2018 წელს ირანის ბირთვული შეთანხმებიდან (JCPOA) გასვლის შემდეგ აშშ-ის მიერ ხელახლა დაწესებულ სანქციებსა და 2020 წელს ერაყში ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის ყუდსის ძალების მეთაურის, გენერალ-მაიორ ყასემ სოლეიმანის მკვლელობას.<sup>19</sup>

ირანის მეორე, ასევე გრძელვადიანი, თუმცა რეგიონული მასშტაბის მიზანი ახლო აღმოსავლეთში საკუთარი ჰეგემონიის მიღწევაა. უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის ესკალაციისთვის ხელის შეწყობით ირანი იმედოვნებს, რომ აშშ-ის ყურადღება უკრაინაზე იქნება კონცენტრირებული და ის ახლო აღმოსავლეთისთვის სათანადოდ ვეღარ მოიცლის, რაც ირანს თავის მთავარ რეგიონულ მეტოქეზე, საუდის არაბეთზე უპირატესობის მოპოვებაში დაეხმარება და ისრაელის წინააღმდეგ უფრო აგრესიული ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობასაც მისცემს. არაერთი ამერიკელი ექსპერტი სწორედ ამ მიზანს მიიჩნევს ირანისთვის პრიორიტეტულად.<sup>20</sup>

მესამე მიზანი, რომელიც პირველ ორ მიზანს პირდაპირ უკავშირდება, ირანის მიერ საკუთარი ბირთვული პროგრამის განვითარება და, საბოლოო ჯამში, ბირთვული იარაღის შექმნაა. ლოგიკურია, რომ, სამხედრო დახმარების სანაცვლოდ, თეირანს მოსკოვისგან ბირთვული იარაღის წარმოებისთვის საჭირო მასალის, ექსპერტული ცოდნისა და ტექნოლოგიების მიღება სურს.<sup>21</sup> თუმცა, რამდენად გაბედავს ამას რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, სხვადასხვა ფაქტორზე იქნება დამოკიდებული, მათ შორის, ირანის სამხედრო დახმარების მოცულობასა და საომარ ველზე ირანული შეიარაღების ეფექტიანობაზე.

ირანის მეოთხე მიზანი, რომელიც ასევე დაკავშირებულია ზემოჩამოთვლილ მიზნებთან, გლობალურ ანტიამერიკულ/ანტიდასავლურ კოალიციაში რუსეთთან და ჩინეთთან ერთად „ღირსეული“ ადგილის დამკვიდრებაა. მართალია, თეირანი თანახმაა, ამ „ღერძში“ უმცროსი პარტნიორის როლი შეასრულოს, მაგრამ, ამავდროულად, აღნიშნული კოალიციიდან მაქსიმალური სარგებლის მისაღებად თავისი, როგორც მოკავშირის, ღირებულების წარმოჩენას ცდილობს. მოსკოვი-პეკინი-თეირანის ფორმალური სამხედრო ალიანსი ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ ირანს

<sup>19</sup> Karen DeYoung, "Iran's Raisi attacks U.S. 'hegemony' and 'militarism'," *Washington Post*, September 21, 2022, <https://www.washingtonpost.com/national-security/2022/09/21/raisi-un-condemn-us-israel/>

<sup>20</sup> John Hardie and Benham Ben Taleblu, "Iran Is Now at War with Ukraine," *Foreign Policy*, October 26, 2022, <https://foreignpolicy.com/2022/10/26/iran-ukraine-russia-war-drones-missiles-military-advisors-middle-east-nuclear/>

<sup>21</sup> Natasha Bertrand, "Exclusive: Iran is seeking Russia's help to bolster its nuclear program, US intel officials believe," *CNN*, November 4, 2022, <https://edition.cnn.com/2022/11/04/politics/iran-russia-nuclear-program/index.html>

რუსეთისა და ჩინეთის ლიდერობით შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებებში შესვლაც სურს. 2021 წელს ირანის შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესი დაიწყო, რომელიც 2023 წლის აპრილში დასრულდება. 2020 წლის ივნისში ირანმა ბრიქსის ჯგუფის წევრობაზე შეიტანა განაცხადი და ასევე აწარმოებს მოლაპარაკებებს ევრაზიის ეკონომიკურ კავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოსაწერად, რომელმაც 2018 წლის პრეფერენციული ვაჭრობის შეთანხმება უნდა ჩაანაცვლოს.<sup>22</sup> ირანი სრულად იზიარებს ნატოს გაფართოების მიმართ რუსეთის ანტაგონიზმსა და რუსეთ-უკრაინის ომის მიზეზების პუტინისეულ ინტერპრეტაციას, რაც ირანის უზენაესმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ საჯაროდაც დაადასტურა.<sup>23</sup>

ირანის მეხუთე მიზანი კონვენციური სამხედრო ძლიერების გაზრდაა, ამ შემთხვევაში – სამხედრო მრეწველობის განვითარების გზით. ერთი მხრივ, ირანი თავის უპილოტო საფრენ აპარატებს რეალურ საბრძოლო მოქმედებებში ცდის და მათი შემდგომი გაუმჯობესებისთვის ცოდნას აგროვებს, მეორე მხრივ კი, რუსეთიდან უკრაინის ტერიტორიაზე ნადავლის სახით მოპოვებული დასავლური შეიარაღების მოდელებს იღებს, რაც მათი შესწავლისა და ანალოგების დამზადების საშუალებას მისცემს. ბრიტანული მედიის ინფორმაციით, ირანული დრონების შესყიდვის გარიგების ნაწილი იყო რუსეთის მიერ ირანისთვის ბრიტანული ანტისატანკო რაკეტების (NLAW) და ამერიკული ანტისატანკო (Javelin) და ანტისაჰაერო (Stinger) რაკეტების ნიმუშების გადაცემა.<sup>24</sup> ბრიტანეთის თავდაცვის მდივნის ბენ უოლესის თქმით, ეს რაკეტები თანამედროვე, ინოვაციურ ტექნოლოგიას არ შეიცავს,<sup>25</sup> მაგრამ ირანის სამხედრო მრეწველობისთვის მათზე წვდომის მოპოვება, როგორც ჩანს, მაინც მნიშვნელოვანია.

---

<sup>22</sup> John Hardie and Benham Ben Taleblu, "Iran Is Now at War with Ukraine," *Foreign Policy*, October 26, 2022, <https://foreignpolicy.com/2022/10/26/iran-ukraine-russia-war-drones-missiles-military-advisors-middle-east-nuclear/>; Parisa Hafezi, "Iran to join Asian security body led by Russia, China," *Reuters*, September 15, 2022, <https://www.reuters.com/world/middle-east/iran-signs-memorandum-joining-shanghai-cooperation-organisation-tass-2022-09-15/>; "Iran applies to join BRICS group of emerging countries," *Al Jazeera*, June 28, 2022, <https://www.aljazeera.com/economy/2022/6/28/iran-applies-to-join-brics-group-of-emerging-countries>; Eurasian Economic Commission, "Negotiations on establishing EAEU-Iran free trade area on track," September 29, 2022, <https://eec.eaeunion.org/en/news/peregovory-po-sozdaniyu-zony-svobodnoy-torgovli-mezhdu-eaes-i-iranom-prodvigayutsya-uspeshno/>

<sup>23</sup> Steve Rosenberg, "Russia's Putin finds keen ally in rare trip to Iran," *BBC News*, July 20, 2022, <https://www.bbc.com/news/world-europe-62234183>

<sup>24</sup> Deborah Haynes, "Russia flew €140m in cash and captured Western weapons to Iran in return for deadly drones, source claims," *Sky News*, November 9, 2022, <https://news.sky.com/story/russia-gave-eur140m-and-captured-western-weapons-to-iran-in-return-for-deadly-drones-source-claims-12741742>

<sup>25</sup> Deborah Haynes, "UK missiles captured by Russia for Iran 'do not contain cutting-edge technology'," *Sky News*, November 11, 2022, <https://news.sky.com/story/uk-missiles-captured-by-russia-for-iran-do-not-contain-cutting-edge-technology-12743890>



ირანის მეექვსე მიზანი კი ეკონომიკური მოგების მიღებაა. როგორც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სანქცირებულ სახელმწიფოს, ირანის ისლამურ რესპუბლიკას სასიცოცხლოდ ესაჭიროება საერთაშორისო სანქციებისთვის გვერდის ავლა, რუსეთთან, ჩინეთთან თუ სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, განსაკუთრებით, აშშ-ის მიერ ირანის ბირთვული შეთანხმების დატოვებისა და ირანისთვის ახალი სანქციების დაწესების შემდგომ. რუსეთის დაკვეთით უპილოტო საფრენი აპარატების წარმოებასა და ექსპორტს ირანისთვის ეკონომიკური მოგება მოაქვს. ამასთან, ირანულმა დრონებმა მსოფლიოს მასშტაბით სახელი მოიხვეჭა და იარაღის საერთაშორისო ბაზარზე, ძირითადად დაბალი ფასის წყალობით, მათზე მოთხოვნა შეიძლება გაიზარდოს - მეტწილად ასევე სანქცირებული რეჟიმებისა თუ არასახელმწიფო მოქმედი პირების მხრიდან, რაც ირანული დრონების ინდუსტრიის შემდგომ გაფართოებას შეუწყობს ხელს.<sup>26</sup> ირანისთვის ხელსაყრელია რუსეთთან თანამშრომლობის ისეთი ფორმა, როდესაც არც ერთი მათგანი იცავს დასავლეთის მიერ მათთვის დაწესებულ სანქციებს. ირანის პრეზიდენტმა ებრაჰიმ რაისიმ იმის იმედიც კი გამოთქვა, რომ ამგვარ თანამშრომლობას ამერიკული სანქციების ეფექტის განეიტრალება შეუძლია.<sup>27</sup> სამხედრო სფეროში თანამშრომლობის სანაცვლოდ, ირანი რუსეთისგან ენერგეტიკის სექტორის განვითარებაში დახმარებასაც ელის, რაც მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან დასავლური სანქციების გამო გაზის მოპოვებისა და ტრანსპორტირებისთვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიის ნაკლებობას განიცდის. რუსეთის პრეზიდენტის თეირანში ვიზიტს დაემთხვა ირანის სახელმწიფო ნავთობის კორპორაციასა და რუსეთის სახელმწიფო კომპანია „გაზპრომს“ შორის მემორანდუმის ხელმოწერა, რომლითაც რუსეთმა 40 მილიარდი ამერიკული დოლარის ღირებულების ინვესტიციის ვალდებულება აიღო ირანში გაზის ორი და ნავთობის ექვსი საბადოს, ასევე თხევადი ბუნებრივი აირისა და გაზსადენების პროექტების განსავითარებლად.<sup>28</sup>

ამდენად, რუსეთისთვის შეიარაღების მიწოდებით ირანი ერთდროულად რამდენიმე – საგარეო-პოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური – მიზნის მიღწევას ცდილობს. თუმცა, რა შედეგებს მოუტანს ეს ისლამურ რესპუბლიკას, ჯერ ბოლომდე ნათელი არაა. ამ ეტაპზე მხოლოდ რამდენიმე შედეგია გამოკვეთილი.

---

<sup>26</sup> Steven Feldstein, “The Larger Geopolitical Shift Behind Iran’s Drone Sales to Russia,” Commentary, Carnegie Endowment for International Peace, October 26, 2022, <https://carnegieendowment.org/2022/10/26/larger-geopolitical-shift-behind-iran-s-drone-sales-to-russia-pub-88268>

<sup>27</sup> Maryam Sinaee, “Iran Says Determined To Boost Ties With Russia 'At All Levels',” *Iran International*, September 16, 2022, <https://www.iranintl.com/en/202209160361>

<sup>28</sup> “Iran and Russia's Gazprom sign primary deal for energy cooperation,” *Reuters*, July 19, 2022, <https://www.reuters.com/business/energy/iran-russias-gazprom-sign-primary-deal-energy-cooperation-2022-07-19/>

### *ირანის მიერ რუსეთისთვის გაწეული სამხედრო დახმარების შედეგები*

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიას ახალი ბიძგი მისცა, აშკარაა, რომ დღეისთვის ირანულმა შეიარაღებამ ომის სასწორი რუსეთის მხარეს ვერ გადაწონა. მართალია, უკრაინის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა ძალიან დაზიანდა, რაც ზამთარში ქვეყანას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის, მაგრამ უკრაინა რუსეთისთვის წინააღმდეგობის გაწევას წარმატებით აგრძელებს და დაკარგულ ტერიტორიებსაც იბრუნებს – მაგალითად, მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ცენტრზე, ქალაქ ხერსონზე, კონტროლის აღდგენა უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა რუსეთის მიერ ირანული დრონების ინტენსიურად გამოყენების პირობებში შეძლეს.

ვინაიდან ირანის მიერ რუსეთის სამხედრო გამარჯვებაზე დადებულმა ფსონმა არ გაამართლა, შეიძლება ითქვას, რომ ისლამურ რესპუბლიკას თავისი გრძელვადიანი საგარეო-პოლიტიკური მიზნებისკენ მიმავალ გზაზე რაიმე მნიშვნელოვანი წარმატებისთვის ჯერ არ მიუღწევია: არც აშშ-ის გლობალური გავლენა შესუსტებულა და არც ირანის პოზიციები გაძლიერებულა ახლო აღმოსავლეთში; რუსეთს ჯერჯერობით არ გაუწევია ირანისთვის ისეთი დახმარება, რომელიც მას ბირთვული იარაღის წარმოებას შეაძლებინებდა და რუსეთ-ჩინეთ-ირანის ფორმალური ალიანსიც ჯერ არ ჩამოყალიბებულა.

ამისგან განსხვავებით, როგორც ზემომოყვანილი რამდენიმე ფაქტიდან ჩანს, ირანის ენერგეტიკულმა სექტორმა და სამხედრო მრეწველობამ რუსეთთან თანამშრომლობით გარკვეული ეკონომიკური სარგებელი მიიღო, მაგრამ მის მასშტაბზე მსჯელობა მაინც ნაადრევია, რადგან რუსეთს ყველა საინვესტიციო ვალდებულება ჯერ არ შეუსრულებია, ხოლო დასავლეთის მიერ შემოღებული ახალი სანქციების ზიანმა ეს სარგებელი, შესაძლოა, გადაწონოს. 8 სექტემბერსა და 15 ნოემბერს აშშ-მა სანქცირებულთა სიაში შეიყვანა ირანული კომპანიები და ფიზიკური პირები, რომლებიც უპილოტო საფრენი აპარატების წარმოებასა და რუსეთისთვის მიწოდებაში არიან ჩართულები.<sup>29</sup> 20 ოქტომბერს მსგავსი გადაწყვეტილება მიიღეს ევროკავშირმა და დიდმა ბრიტანეთმაც.<sup>30</sup> 16 სექტემბრიდან ამას თან დაერთო დასავლეთის მიერ დამატებითი სანქციების დაწესება ირანის ხელისუფლების იმ მაღალჩინოსნებისთვის,

<sup>29</sup> U.S. Department of Treasury, "Treasury Sanctions Iranian Persons Involved in Production of Unmanned Aerial Vehicles and Weapon Shipment to Russia," Press Release, September 8, 2022, <https://home.treasury.gov/news/press-releases/jy0940>; U.S. Department of Treasury, "Treasury Targets Actors Involved in Production and Transfer of Iranian Unmanned Aerial Vehicles to Russia for Use in Ukraine," Press Release, November 15, 2022, <https://home.treasury.gov/news/press-releases/jy1104>

<sup>30</sup> "EU, U.K. Announce Sanctions Over Iran's Drone Deliveries To Russia," *Radio Free Europe - Radio Liberty*, October 20, 2022, <https://www.rferl.org/a/eu-sanctions-iran-drone-exports-russia/32093051.html>

რომლებიც ე.წ. მორალის პოლიციის მიერ დაკავებული 22 წლის ირანელი ქალის, მაჰსა ამინის გარდაცვალების გამო დაწყებული მასობრივი საპროტესტო აქციების ძალადობრივად ჩახშობაზე, მათ შორის, მომიტინგეთა მკვლელობაზე არიან პასუხისმგებელი.<sup>31</sup>

დასავლეთის მიერ ირანის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების ეფექტიანობასთან დაკავშირებით ექსპერტთა აზრი, ტრადიციულად, გაყოფილია. ეს ეხება არა მარტო არსებულ, არამედ იმ საერთაშორისო სანქციებსაც, რომლებიც 2015 წლის ირანის ბირთვულ შეთანხმებამდე გაეროს ეგიდით იყო დაწესებული და ამ შეთანხმების აღდგენის თაობაზე მოლაპარაკებების შეჩერების შედეგად ხელახლა შეიძლება ამოქმედდეს. 2021 წლიდან ვენაში მიმდინარე მოლაპარაკებები ისედაც სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდებოდა, ხოლო 2022 წლის აგვისტოს შემდეგ, ირანის მიერ რუსეთის სამხედრო აგრესიის მხარდაჭერის ფონზე, ეს მოლაპარაკებები აღარ გაგრძელდებულა.<sup>32</sup> ვაშინგტონი აცხადებს, რომ ირანის ბირთვული შეთანხმების აღდგენა მისი „ყურადღების ფოკუსში აღარ არის“<sup>33</sup> და რომ მოლაპარაკებები ჩიხშია შესული.<sup>34</sup> აშშ-ის ისევე, როგორც საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის პოზიციაა, რომ რუსეთისთვის შეიარაღების მიწოდებით ირანი გაეროს უშიშროების საბჭოს 2231-ე რეზოლუციას არღვევს, რომელიც 2015 წლის ირანის ბირთვული შეთანხმების საფუძველზე იქნა მიღებული და ირანის მიერ სხვა ქვეყნებისთვის გარკვეული შეიარაღების მიწოდებას კრძალავს.<sup>35</sup> ეს კი საერთაშორისო სანქციების 2015 წლამდელი რეჟიმის აღდგენის საფუძველი შეიძლება გახდეს.

ექსპერტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ საერთაშორისო სანქციების დაბრუნების მექანიზმის (ე.წ. snapback-ის) ამოქმედება ირანის ეკონომიკას მინიმალურ ან სულაც სიმბოლურ ზიანს მიაყენებს და თეირანს უფრო რადიკალური ნაბიჯების

---

<sup>31</sup> David Gritten, “Mahsa Amini: Protests over woman’s death claim more lives in Iran,” *BBC News*, September 21, <https://www.bbc.com/news/world-middle-east-62986057>; U.S. Department of Treasury, “Treasury Sanctions Iran’s Morality Police and Senior Security Officials for Violence Against Protesters and the Death of Mahsa Amini,” Press Release, September 22, 2022, <https://home.treasury.gov/news/press-releases/jy0969>; U.S. Department of Treasury, “Treasury Sanctions Iranian Leaders Responsible for Internet Shutdown and Violent Crackdown on Peaceful Protests,” Press Release, October 6, 2022, <https://home.treasury.gov/news/press-releases/jy0994>; U.S. Department of Treasury, “Treasury Sanctions Iranian Officials and Entities Responsible for Ongoing Crackdown on Protests and Internet Censorship,” Press Release, October 26, 2022, <https://home.treasury.gov/news/press-releases/jy1048>; Leyla Khodabakhshi, “Iran protests: How countries are punishing the morality police,” *BBC News*, October 26, 2022, <https://www.bbc.com/news/world-middle-east-63374266>

<sup>32</sup> Maziar Motamedi, “Will alleged drone sales to Russia impact Iran’s nuclear deal?” *Al Jazeera*, October 24, 2022, <https://www.aljazeera.com/news/2022/10/24/could-iran-alleged-drone-sales-to-russia-impact-the-nuclear-deal>

<sup>33</sup> U.S. Department of State, Press Briefing - October 12, 2022, <https://www.state.gov/briefings/department-press-briefing-october-12-2022/>

<sup>34</sup> “VOA Interview: John Kirby,” *Voice of America*, October 14, 2022, <https://www.voanews.com/a/voa-interview-john-kirby/6790607.html>

<sup>35</sup> U.S. Department of State, Press Briefing - October 17, 2022, <https://www.state.gov/briefings/department-press-briefing-october-17-2022/>

გადადგმისკენ წააქეზებს,<sup>36</sup> მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ არსებულ ვითარებაში, როცა ირანის აგრესიული ქცევა არ იცვლება, 2015 წლამდელი სანქციების აღდგენა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან ამით ირანზე საერთაშორისო წნეხი გაიზრდება, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში ირანი ეკონომიკასაც გააძლიერებს, სახალხო პროტესტსაც ჩაახშობს და ბირთვული იარაღის შექმნის ზღურბლსაც მიაღწევს.<sup>37</sup> ამასთან, ირანის ბირთვული შეთანხმების განახლებას ირანის წინააღმდეგ 2018 წლიდან დაწესებული სანქციების კვლავ გაუქმება უნდა მოჰყვეს, რაც ამ ვითარებაში სრულიად არაადეკვატური იქნება და ირანის აგრესორ რუსეთთან სამხედრო და ბირთვული ენერჯის სფეროებში თანამშრომლობას საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოში მოაქცევს.<sup>38</sup>

ამკარაა, რომ ირანის ბოლოდროინდელი ქმედებები, როგორც საგარეო ასპარეზზე, ისე ქვეყნის შიგნით, შეუძლებელს ხდის აშშ-ისთვის ირანის ბირთვული შეთანხმების აღდგენის თაობაზე მოლაპარაკებებში დაბრუნებას. ამის შედეგად, აშშ-ირანის ურთიერთობები ისევ ღია დაპირისპირების ფორმას იძენს. აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი კვლავაც აცხადებს, რომ ირანს ბირთვული იარაღის შექმნის საშუალებას არ მისცემს,<sup>39</sup> მაგრამ ამ საკითხის დიპლომატიის მეშვეობით გადაჭრის შანსები თანდათან მცირდება. ირანის ბირთვული პროგრამა მაინც წინ მიდის – ბირთვული შეთანხმებისა თუ მის გარეშე. ნოემბერში, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს კრიტიკული რეზოლუციის საპასუხოდ, ირანმა დემონსტრაციულად გააგრძელა ურანის გამდიდრება ახალ ბირთვულ ობიექტზე, რომელიც ძნელად მისადგომ სამხედრო ბაზაზე მდებარეობს.<sup>40</sup> სხვადასხვა გათვლით, სურვილის შემთხვევაში, ირანს რამდენიმე თვეში შეეძლება ბირთვული იარაღისთვის საჭირო მასალის წარმოება, ხოლო რუსეთის დახმარება უფრო მეტად ამ პროცესის დასაჩქარებლად ესაჭიროება. თუმცა, ამერიკული დაზვერვის ცნობით, ჯერ არაფერი მიანიშნებს იმაზე,

---

<sup>36</sup> Henry Rome and Louis Dugit-Gros, "Snapback Sanctions on Iran: More Bark Than Bite?" *PolicyWatch* 3663, Washington Institute for Near East Policy, <https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/snapback-sanctions-iran-more-bark-bite>

<sup>37</sup> Richard Goldberg and Andrea Stricker, "If Europe Wants to Sanction Iran, It Knows What to Do," *Foreign Policy*, November 10, 2022, <https://foreignpolicy.com/2022/11/10/iran-protests-ukraine-russia-war-weapons-sanctions-europe-nuclear-deal-united-nations-security-council/>

<sup>38</sup> John Hardie and Benham Ben Taleblu, "Iran Is Now at War with Ukraine," *Foreign Policy*, October 26, 2022, <https://foreignpolicy.com/2022/10/26/iran-ukraine-russia-war-drones-missiles-military-advisors-middle-east-nuclear/>

<sup>39</sup> "U.S. will never allow Iran to acquire a nuclear weapon, Biden tells Israel's Lapid," *Reuters*, August 31, 2022, <https://www.reuters.com/world/biden-israels-lapid-speak-amid-discussions-possible-iran-nuclear-deal-2022-08-31/>

<sup>40</sup> Maziar Motamedi, "Iran boosts uranium enrichment in response to IAEA resolution," *Al Jazeera*, November 22, 2022, <https://www.aljazeera.com/news/2022/11/22/iran-boosts-uranium-enrichment-in-response-to-iaea-resolution>

რომ რუსეთმა უპილოტო საფრენი აპარატების მიღების შემდგომ ირანის ბირთვული პროგრამის განვითარებაში რაიმე წვლილი შეიტანა.<sup>41</sup>

ამ სახიფათო ვითარებაში აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოებისთვის პრიორიტეტული ხდება ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის გეგმის ჩაშლა, ირანში სახალხო პროტესტის მონაწილეებისთვის დახმარების გაწევა და რუსეთისთვის ირანული იარაღის მიწოდების არხების გადაკეტვა.<sup>42</sup> ამის გარდა, ირანის ქმედებები აშშ-ს ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მიმართ ინტერესის გაზრდისკენ და ისრაელისა და სპარსეთის ყურის ქვეყნების მონაწილეობით ანტიირანული კოალიციის ჩამოყალიბებისკენ უბიძგებს.<sup>43</sup> აშშ-ის მიერ ამ მიმართულებით დასახულ საგარეო-პოლიტიკური ამოცანებს შორის შეიძლება იყოს ისრაელსა და ოთხ არაბულ სახელმწიფოს შორის 2020 წელს დადებული „აბრაამის შეთანხმებების“ გაგრძელება და ისრაელსა და საუდის არაბეთს შორის მსგავსი შეთანხმების მიღწევა,<sup>44</sup> ასევე, საუდის არაბეთთან სამხედრო თანამშრომლობის განმტკიცება ორმხრივ ურთიერთობებში არსებული პრობლემების, მათ შორის – ოპეკი+-ის მიერ 5 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, რომლითაც ორგანიზაციამ ნავთობის წარმოება დღეში 2 მილიონი ბარელით შეამცირა და ნავთობის მსოფლიო ფასის ზრდით რუსეთს ეკონომიკური მოგება მოუტანა.<sup>45</sup> აშშ-ის რეაქცია ირანის ამჟამინდელ ქცევაზე – უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის მხარდაჭერასა და ქვეყნის შიგნით სამოქალაქო პროტესტის მონაწილეთა მიმართ ძალის გადამეტებაზე – ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და უახლოეს მომავალში ვაშინგტონის მხრიდან ამ კუთხით ახალ ნაბიჯებს უნდა ველოდოთ.

ამრიგად, რუსეთისთვის სამხედრო დახმარების გაწევით ირანმა ვერ უზრუნველყო ომში მისი გამარჯვება და უკრაინის, შესაბამისად, ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლების აღქმით – აშშ-ის/კოლექტიური დასავლეთის, დამარცხება, ვერ

---

<sup>41</sup> Natasha Bertrand, “Exclusive: Iran is seeking Russia’s help to bolster its nuclear program, US intel officials believe,” *CNN*, November 4, 2022, <https://edition.cnn.com/2022/11/04/politics/iran-russia-nuclear-program/index.html>

<sup>42</sup> David E. Sanger, “United States Enters a New Era of Direct Confrontation with Iran,” *New York Times*, November 24, 2022, <https://www.nytimes.com/2022/11/24/us/politics/iran-protests-ukraine-nuclear-enrichment.html?smid=url-share>

<sup>43</sup> John Hardie and Benham Ben Taleblu, “Iran Is Now at War with Ukraine,” *Foreign Policy*, October 26, 2022, <https://foreignpolicy.com/2022/10/26/iran-ukraine-russia-war-drones-missiles-military-advisors-middle-east-nuclear/>

<sup>44</sup> Jacob Magid, “Nides: Biden administration taking Abraham Accords ‘from start-up to real operation,’” *Times of Israel*, September 15, 2022, <https://www.timesofisrael.com/nides-biden-administration-taking-abraham-accords-from-start-up-to-real-operation/>

<sup>45</sup> Kirsten Fontenrose, “Punish Riyadh or play it cool? How the United States can renegotiate its relationship with Saudi Arabia,” *New Atlanticist*, Atlantic Council, November 10, 2022, <https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/punish-riyadh-or-play-it-cool-how-the-united-states-can-renegotiate-its-relationship-with-saudi-arabia/>; “Top oil producers agree to slash output,” *Deutsche Welle*, October 5, 2022, <https://www.dw.com/en/oil-producers-to-slash-output/a-63346688>

გაზარდა თავისი გავლენა ახლო აღმოსავლეთში და, ეკონომიკური სარგებლის მიუხედავად, დასავლეთისგან დამატებითი სანქციები, ბირთვული შეთანხმების აღდგენაზე მოლაპარაკებების შეჩერება და უფრო მკაცრი საერთაშორისო სანქციების შემოღების პერსპექტივა მიიღო. ირანის ბირთვული ამბიციები არ ჩამცხრა, მაგრამ დაეხმარება თუ არა მოსკოვი თეირანს ბირთვული იარაღის შექმნაში, ანუ არსებობს თუ არა ირან-რუსეთის გარიგება, პირობითი სახელწოდებით „დრონები ატომური ბომბის სანაცვლოდ“, ჯერ ცხადი არ არის.

## ბიბლიოგრაფია

1. Al Jazeera. "Iran applies to join BRICS group of emerging countries." June 28, 2022. <https://www.aljazeera.com/economy/2022/6/28/iran-applies-to-join-brics-group-of-emerging-countries>
2. Atwood, Kylie. "Iran is preparing to send additional weapons including ballistic missiles to Russia to use in Ukraine, western officials say." *CNN*. November 1, 2022. <https://edition.cnn.com/2022/11/01/politics/iran-missiles-russia/index.html>
3. Bertrand, Natasha. "Exclusive: Iran is seeking Russia's help to bolster its nuclear program, US intel officials believe." *CNN*. November 4, 2022. <https://edition.cnn.com/2022/11/04/politics/iran-russia-nuclear-program/index.html>
4. Borger, Julian. "Iranian advisers killed aiding Russians in Crimea, says Kyiv." *Guardian*. November 24, 2022. <https://www.theguardian.com/world/2022/nov/24/iranian-military-advisers-killed-aiding-moscow-in-crimea-kyiv>
5. Deutsche Welle. "Top oil producers agree to slash output." October 5, 2022. <https://www.dw.com/en/oil-producers-to-slash-output/a-63346688>
6. DeYoung, Karen. "Iran's Raisi attacks U.S. 'hegemony' and 'militarism'." *Washington Post*. September 21, 2022. <https://www.washingtonpost.com/national-security/2022/09/21/raisi-un-condemn-us-israel/>
7. Eurasian Economic Commission. "Negotiations on establishing EAEU-Iran free trade area on track." September 29, 2022. <https://eec.eaeunion.org/en/news/peregovory-po-sozdaniyu-zony-svobodnoy-torgovli-mezhdu-eaes-i-iranom-prodvigayutsya-uspeshno/>
8. Feldstein, Steven. "The Larger Geopolitical Shift Behind Iran's Drone Sales to Russia." Commentary. Carnegie Endowment for International Peace. October 26, 2022. <https://carnegieendowment.org/2022/10/26/larger-geopolitical-shift-behind-iran-s-drone-sales-to-russia-pub-88268>
9. Fontenrose Kirsten. "Punish Riyadh or play it cool? How the United States can renegotiate its relationship with Saudi Arabia." *New Atlanticist*. Atlantic Council. November 10, 2022. <https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/punish-riyadh-or-play-it-cool-how-the-united-states-can-renegotiate-its-relationship-with-saudi-arabia/>
10. Gazeta.ua. "РФ применила против Украины более 400 иранских дронов." November 9, 2022. [https://gazeta.ua/ru/articles/np/\\_rf-primenila-protiv-ukrainy-bolee-400-iranskih-dronov/1119967](https://gazeta.ua/ru/articles/np/_rf-primenila-protiv-ukrainy-bolee-400-iranskih-dronov/1119967)

11. Goldberg, Richard and Andrea Stricker. "If Europe Wants to Sanction Iran, It Knows What to Do." *Foreign Policy*. November 10, 2022. <https://foreignpolicy.com/2022/11/10/iran-protests-ukraine-russia-war-weapons-sanctions-europe-nuclear-deal-united-nations-security-council/>
12. Gritten, David. "Mahsa Amini: Protests over woman's death claim more lives in Iran." *BBC News*. September 21. <https://www.bbc.com/news/world-middle-east-62986057>
13. Hafezi, Parisa. "Iran to join Asian security body led by Russia, China." *Reuters*. September 15, 2022. <https://www.reuters.com/world/middle-east/iran-signs-memorandum-joining-shanghai-cooperation-organisation-tass-2022-09-15/>
14. Hardie, John and Benham Ben Taleblu. "Iran Is Now at War with Ukraine." *Foreign Policy*. October 26, 2022. <https://foreignpolicy.com/2022/10/26/iran-ukraine-russia-war-drones-missiles-military-advisors-middle-east-nuclear/>
15. Haynes, Deborah. "Russia flew €140m in cash and captured Western weapons to Iran in return for deadly drones, source claims." *Sky News*. November 9, 2022. <https://news.sky.com/story/russia-gave-eur140m-and-captured-western-weapons-to-iran-in-return-for-deadly-drones-source-claims-12741742>
16. Haynes, Deborah. "UK missiles captured by Russia for Iran 'do not contain cutting-edge technology'." *Sky News*. November 11, 2022. <https://news.sky.com/story/uk-missiles-captured-by-russia-for-iran-do-not-contain-cutting-edge-technology-12743890>
17. Islamic Republic News Agency. "Secretary of Russia National Security Council arrives in Tehran." November 9, 2022. <https://en.irna.ir/news/84936790/Secretary-of-Russia-National-Security-Council-arrives-in-Tehran>
18. Karimi, Nasser and Vladimir Isachenkov. "Putin, in Tehran, gets strong support from Iran over Ukraine." *AP News*. July 20, 2022. <https://apnews.com/article/russia-ukraine-putin-syria-iran-289c3422c8980e7650dbde2c326d248a>
19. Khodabakhshi, Leyla. "Iran protests: How countries are punishing the morality police." *BBC News*. October 26, 2022. <https://www.bbc.com/news/world-middle-east-63374266>
20. Kossov, Igor. "How Russia uses Iranian drones to try to overwhelm Ukraine's air defense." *Kyiv Independent*. October 24, 2022. <https://kyivindependent.com/national/russias-gambit-to-exhaust-ukraines-air-defense-with-iranian-kamikaze-drones>
21. Magid, Jacob. "Nides: Biden administration taking Abraham Accords 'from start-up to real operation.'" *Times of Israel*. September 15, 2022. <https://www.timesofisrael.com/nides-biden-administration-taking-abraham-accords-from-start-up-to-real-operation/>
22. Ministry of Defence (@DefenceHQ). "Latest Defence Intelligence update on the situation in Ukraine – 23 November, 2022." Twitter post. November 23, 2022. <https://twitter.com/DefenceHQ/status/1595308425906647040?s=20&t=o81rP9jvtCt9LO27mHzNqQ>
23. Motamedi, Maziar. "Iran boosts uranium enrichment in response to IAEA resolution." *Al Jazeera*. November 22, 2022. <https://www.aljazeera.com/news/2022/11/22/iran-boosts-uranium-enrichment-in-response-to-iaea-resolution>

24. Motamedi, Maziar. "Will alleged drone sales to Russia impact Iran's nuclear deal?" *Al Jazeera*. October 24, 2022. <https://www.aljazeera.com/news/2022/10/24/could-iran-alleged-drone-sales-to-russia-impact-the-nuclear-deal>
25. Pourahmadi, Adam and Sophie Tanno. "Iran acknowledges providing drones to Russia before Moscow's invasion of Ukraine." *CNN*. November 5, 2022. <https://www.cnn.com/2022/11/05/middleeast/iran-drones-russia-intl>
26. President of Ukraine. "Volodymyr Zelenskyy met with the European Commissioner for Energy." November 1, 2022. <https://www.president.gov.ua/en/news/volodimir-zelenskij-zustrivsvya-z-zevrokomisarom-z-pitan-ener-78841>
27. Radio Free Europe - Radio Liberty. "EU, U.K. Announce Sanctions Over Iran's Drone Deliveries To Russia." October 20, 2022. <https://www.rferl.org/a/eu-sanctions-iran-drone-exports-russia/32093051.html>
28. Reuters. "Iran and Russia's Gazprom sign primary deal for energy cooperation." July 19, 2022. <https://www.reuters.com/business/energy/iran-russias-gazprom-sign-primary-deal-energy-cooperation-2022-07-19/>
29. Reuters. "Ukraine shoots down Iranian-made drone used by Russia - defence ministry." September 13, 2022. <https://www.reuters.com/world/europe/ukraine-shoots-down-iranian-made-drone-used-by-russia-defence-ministry-2022-09-13/>
30. Reuters. "U.S. will never allow Iran to acquire a nuclear weapon, Biden tells Israel's Lapid." August 31, 2022. <https://www.reuters.com/world/biden-israels-lapid-speak-amid-discussions-possible-iran-nuclear-deal-2022-08-31/>
31. Rome, Henry and Louis Dugit-Gros. "Snapback Sanctions on Iran: More Bark Than Bite?" *PolicyWatch* 3663. Washington Institute for Near East Policy. <https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/snapback-sanctions-iran-more-bark-bite>
32. Rosenberg, Steve. "Russia's Putin finds keen ally in rare trip to Iran." *BBC News*. July 20, 2022. <https://www.bbc.com/news/world-europe-62234183>
33. Sanger, David E. "United States Enters a New Era of Direct Confrontation with Iran." *New York Times*. November 24, 2022. <https://www.nytimes.com/2022/11/24/us/politics/iran-protests-ukraine-nuclear-enrichment.html?smid=url-share>
34. Schiavi, Francesco Salesio. "Assessing Russian Use of Iranian Drones in Ukraine: Facts and Implications." Italian Institute for International Political Studies. October 26, 2022. <https://www.ispionline.it/en/pubblicazione/assessing-russian-use-iranian-drones-ukraine-facts-and-implications-36520>
35. Sinaee, Maryam. "Iran Says Determined To Boost Ties With Russia 'At All Levels'." *Iran International*. September 16, 2022. <https://www.iranintl.com/en/202209160361>
36. Special Envoy for Iran Robert Malley (@USEnvoyIran). Twitter post. November 5, 2022. [https://twitter.com/USEnvoyIran/status/1588941673761214464?s=20&t=siJWts-yOa9aaTel0\\_PNcg](https://twitter.com/USEnvoyIran/status/1588941673761214464?s=20&t=siJWts-yOa9aaTel0_PNcg)
37. Ukrainska Pravda. "One-third of Shaheds reach their targets, drone terror may last long." October 24, 2022. <https://www.pravda.com.ua/eng/news/2022/10/24/7373182/>



38. Ukrinform. "Zelensky calls on G7 to provide air defense systems, as Russia ordered 2,400 'Shaheds'." October 11, 2022. <https://www.ukrinform.net/rubric-polytics/3591162-zelensky-calls-on-g7-to-provide-air-defense-systems-as-russia-ordered-2400-shaheds.html>
39. U.S. Department of State. Press Briefing - October 12, 2022. <https://www.state.gov/briefings/department-press-briefing-october-12-2022/>
40. U.S. Department of State. Press Briefing - October 17, 2022. <https://www.state.gov/briefings/department-press-briefing-october-17-2022/>
41. U.S. Department of Treasury. "Treasury Sanctions Iranian Leaders Responsible for Internet Shutdown and Violent Crackdown on Peaceful Protests." Press Release. October 6, 2022. <https://home.treasury.gov/news/press-releases/jy0994>
42. U.S. Department of Treasury. "Treasury Sanctions Iranian Officials and Entities Responsible for Ongoing Crackdown on Protests and Internet Censorship." Press Release. October 26, 2022. <https://home.treasury.gov/news/press-releases/jy1048>
43. U.S. Department of Treasury. "Treasury Sanctions Iranian Persons Involved in Production of Unmanned Aerial Vehicles and Weapon Shipment to Russia." Press Release. September 8, 2022. <https://home.treasury.gov/news/press-releases/jy0940>
44. U.S. Department of Treasury. "Treasury Sanctions Iran's Morality Police and Senior Security Officials for Violence Against Protesters and the Death of Mahsa Amini." Press Release. September 22, 2022. <https://home.treasury.gov/news/press-releases/jy0969>
45. U.S. Department of Treasury. "Treasury Targets Actors Involved in Production and Transfer of Iranian Unmanned Aerial Vehicles to Russia for Use in Ukraine." Press Release. November 15, 2022. <https://home.treasury.gov/news/press-releases/jy1104>
46. Voice of America. "VOA Interview: John Kirby." October 14, 2022. <https://www.voanews.com/a/voa-interview-john-kirby/6790607.html>
47. Warrick, Joby, Souad Mekhennet and Ellen Nakashima. "Iran will help Russia build drones for Ukraine war, Western officials say." *Washington Post*. November 19, 2022. <https://www.washingtonpost.com/national-security/2022/11/19/russia-iran-drones-secret-deal/>
48. White House. On-the-Record Press Gaggle by NSC Coordinator for Strategic Communications John Kirby. October 20, 2022. <https://www.whitehouse.gov/briefing-room/speeches-remarks/2022/10/20/on-the-record-press-gaggle-by-nsc-coordinator-for-strategic-communications-john-kirby/>
49. White House. Press Briefing by Press Secretary Karine Jean-Pierre and National Security Advisor Jake Sullivan. July 12, 2022. <https://www.whitehouse.gov/briefing-room/press-briefings/2022/07/12/press-briefing-by-press-secretary-karine-jean-pierre-and-national-security-advisor-jake-sullivan/>